MES 3 23 0001750749

22/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლა
ხუროშვილი დავით- სკოლის დირექტორი
2. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა:
როენა ფიფია- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
3. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლა:
იამზე თურმანიძე- სკოლის დირექტორი
4. სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი აფენის N1 საჯარო სკოლა:
თამარ ცქიფურიშვილი- სკოლის დირექტორი
5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლა:
გურანდა გოგსაძემ -სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
6. სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯაროსკოლა:
ნანა ირემაძე - სკოლის დირექტორი
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N140 საჯარო სკოლა:
ნინო ასანიძე-სკოლის დირექტორი
8. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯაროსკოლა:
გეგი აბრამიშვილი-სკოლის დირექტორი
9. სსიპ - თეთრიწყაროსმუნიციპალიტეტისსოფელდიდგორისსაჯაროსკოლა:
კარლო სუბელიანი-სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
10. სსიპ-მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა
ნანა ირემაძე-სკოლის დირექტორი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტე ბი):

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლა

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა

ა) ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ წიწიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლიანა ქოქიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლა

ა) ვარდენ ნიქაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ტარიელი სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ტოტოჩავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ- მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლა

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კოკოჩაშვილი - ახვლედიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ოლეგი გაბრიაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევანი ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლა

ა) ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა აბრამიშვილი(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა

ა) თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ძირკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლა

ა) ხათუნა ლოდია - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) შორენა კაკაბაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ე) ნინო წერეთელი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩხიკვაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლა

ა) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლა
ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მიხეილ გაფრინდაშვილი(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო ს კოლა

ა) ლია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე - 17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 11 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე- 20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა.
მისი თქმით, დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.
ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ პედაგოგებმა წარმოაჩინეს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების გააზრების მაღალი დონე, ასევე, სიღრმისეულად ჰქონდათ გათავისებული საგნობრივი კურიკულუმების აგებისა და პროგრამების მოსწავლეთა ინტერესებზე მორგების პროცესი, გარდა ამისა, სკოლის პერსონალი მუდმივად ცდილობდა, რომ სასკოლო ცხოვრება ყოფილიყო დატვირთული და საინტერესო შემეცნებითი პროექტებით გამდიდრებული.
ექსპერტმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
მისი განმარტებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც

აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, როგორ განსაზღვრავდა სკოლა სტრუქტურულ ერთეულებს და რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა 48 მოსწავლე. რაც შეეხებოდა სტრუქტურულ ერთეულებს, სკოლაში მუშაობდნენ საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და ტექნიკური პერსონალი.
საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაზე გასწია თუ არა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარეაბილიტაციო ხარჯები. სკოლის დირექტორმა, დავით ხუროშვილმა, განმარტა, რომ სკოლის შენობა ააშენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში არსებულ მიწაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, როგორ ხდებოდა სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნით გათვალისწინებული გაკვეთილების სრულყოფილად ჩატარება, როდესაც სკოლას არ ჰქონდა ლაბორატორია. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი კურიკულუმები, დაწესებულებას ასევე ჰქონდა ვირტუალური ლაბორატორიის პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლას (ს/კ: 238146323) 6 წლის ვადით

მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი შიბლიანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი შიბლიანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი შიბლიანი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა დასკვნა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, ასევე, უზრუნველეყო ინვენტარის შეძენა და ლაბორატორიის მოწყობა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

2. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ .

მისი თქმით, დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემში.
დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 სტანდარტი, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა სკოლას სტრატეგიული განვითარების განხორციელების შედეგების გასაჯაროების პრაქტიკა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მეთოდოლოგიური დოკუმენტი, ასევე, შექმნილი იყო სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა, დაწესებულებას საწყის ეტაპზე ჯერ ვერ ექნებოდა აღნიშნული შედეგები გასაჯაროებული.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ექსპერტთა მხრიდან გაცემული რჩევების შესასრულებლად, რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა სკოლა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, როენა ფიფიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება სკოლას დაწყებული ჰქონდა.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით რა ღონისძიებებს ახორციელებდადაწესებულება. როენა ფიფიამ აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებიც მოსწავლეთა მხრიდან დაისმეოდა აქტიურად განიხილებოდა სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელთან ერთად. გარდა ამისა, ბიუჯეტის დამტკიცების პერიოდში წინასწარ ხდებოდა მოსწავლეთა ინტერესების დადგენა და გათვალისწინება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მოპოვებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და, ასევე, დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა როენა ფიფიამ დაადასტურა, რომ დაწესებულება ფლობდა აღნიშნულ დოკუმენტაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 242735910) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი- 2025 წლის დეკემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

3. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ, რომელმაც განაცხადა რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 250 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ მოსწავლეებისათვის განსაკუთრებული გარემოს შექმნას.
მისი განმარტებით, 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს," თუმცა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ვარდენ ნიქაბაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწყებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მუშაობა. სკოლის დირექტორმა, იამზე თურმანიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა და ნაწილი რჩევებისა უკვე შესრულებული ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როგორ ახდენდა სკოლა მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლაში და რა მექანიზმი ჰქონდა შემუშავებული ამ მიზნით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, იამზე თურმანიძემ, განმარტა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციაზე ზრუნავდნენ კლასის დამრიგებლები, თუმცა ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ ამ მიმართულებით გამოყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა მიმდინარე პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლას (ს/კ: 248417805) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კაპრეშუმი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კაპრეშუმი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კაპრეშუმი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი- 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 2.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედინა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, გამოეყო შესაბამისი ფართი, მოეწყო და აღეჭურვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

4. სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას . წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ, რომელმაც განაცხადა, რომ სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ აფენში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 500 მოსწავლე.
ექსპერტის თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ნანა მონიავამ განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა აქტიური თვითმმართველობა. ხორციელდებოდა სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვანი და საინტერესო აქტივობები. სკოლაში ირიცხებოდა 21 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე. სპეც- მასწავლებლები და ასისტენტები აქტიურად თანამშრომლობდნენ თითოეული საგნის პედაგოგთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

სკოლის დირექტორმა, თამარ ცქიფურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას მოპოვებული ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. ასევე, დაწესებულებამ მოგვიანებით მოიპოვა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლის თვითმმართველობისა და კლუბების აქტიურობით ხორციელდებოდა არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვის, არამედ თემისთვის მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან არაერთი რჩევა ჰქონდა მიღებული. მან მიმართა სკოლის დირექტორს კითხვით, დაეზუსტებინა გეგმავდა თუ არა აღნიშნული რჩევების გათვალისწინებას, ან თუ ჰქონდა მოცემული დროისთვის რომელიმე რჩევა შესრულებული. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, თამარ ცქიფურიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობდა სასწავლო პროცესები ყოფილიყო მოსწავლეზე ორიენტირებული. მისი განცხადებით, სკოლაში მოცემული დროისთვის უკვე ჩატარებული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც განიხილეს ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები. სკოლა ასევე მუშაობდა მათი განხორციელების გზების დასახვაზე.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ბრძანებაზე, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ორი მოსწავლის მხრიდან ფიქსირდებოდა საგაკვეთილო პროცესის გაცდენა 45 დღის განმავლობაში. მორის დანდურიშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, დაეზუსტებინა, რა ღონისძიებები გაატარა სკოლამ, როდესაც მოსწავლეები 45 დღის განმავლობაში აცდენდნენ საგაკვეთილო პროცესს. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ასეთ დროს სკოლის მიერ მშობელთა ინფორმირება ხდებოდა 10 დღის შემდეგ. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის ფაქტს, რაზეც სკოლა არ იყო ინფორმირებული.

მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის დროს სკოლას მითითებული ჰქონდა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხის განხილვა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და როგორ ახდენდა სკოლა პერსონალური მონაცემების დაცვას. თამარ ცქიფურიშვილმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე არ ხდებოდა მოსწავლეთა სახელებისა და გვარების დაფიქსირება. საბჭოს იმავე წევრმა დასძინა, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე არ უნდა განხილულიყო მოსწავლეთა კლასიდან- კლასში გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის საკითხი და სკოლას მიმართა თხოვნით აღნიშნული გაეთვალისწინებინა მომავალში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 12

წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N1 საჯარო სკოლას (ს/კ : 233115107) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმა, ასევე, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, ასევე, უნდა წარმოედგინა საქმისწარმოების განახლებული წესი.

5. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ,
რომელმაც განაცხადა, რომ სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცხრაწყაროში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 120 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
მისი თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში სასკოლო საზოგადოება იყო მოტივირებული და თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობდა სკოლაში მიმდინარე პროცესებში. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტი და ღონისძიება. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხს. ფუნქციონირებდა ეკო- კლუბი „ცხრაწყარო“ და მეწარმეობის კლუბი „ჩვენი ხელები“.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლაში არსებული საკლასო ოთახების რაოდენობაზე და ექსპერტს მიმართა კითხვით, მოცემული დროისთვის რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 68 მოსწავლე, თუმცა ვებ- გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით სკოლაში, ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 71-ს. ექსპერტის მოსაზრებით, სკოლის ორცვლიან სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოიხსნებოდა საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების პრობლემა. ნინო ელბაქიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა მხრიდან 120 მოსწავლეზე თანხმობა სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გურანდა გოგსაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების პროექტი გათვლილი იყო 120 მოსწავლეზე და სწორედ ამიტომ სკოლის მხრიდან მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდა 120- ით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხით, რომელ წელს და ვის მიერ იყო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებული. გურანდა გოგსაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებული იყო 2022 წელს, სამშენებლო კომპანია MGF- ის მიერ. ასევე სკოლა ფლობდა მიღება- ჩაბარების აქტს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლას (ს/კ : 230078242) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხრაწყარო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხრაწყარო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხრაწყარო

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: დაწესებულებას უნდა წარმოედგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული გეგმა, შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, ასევე, ვებ-გვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. მისი განცხადებით, სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სიღნაღში, სარაჯიშვილის ქუჩა N13, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 400 მოსწავლე.
ექსპერტის თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებშიგანმარტა, რომ დაწესებულებაში დანერგილი იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და სკოლას ჰქონდა გუნდური მუშაობის კარგი გამოცდილება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის სახელწოდებაზე, რაზეც სკოლის დირექტორმა ნანა ბეჟაშვილმა გააკეთა განმარტება, რომ სკოლის სახელწოდება არასწორად იყო რეგისტრირებული. მისი თქმით, სკოლას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილი ჰქონდა გაგზავნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
საბჭს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ყურადღება გაამახვილა სკოლაში დაგეგმილ დიაგნოსტიკურ წერებზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდათ თუ არააღნიშნული საკითხი გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე იყვნენ თუ არა მოსწავლეები ინფორმირებულნი, რომელ საგნებში გეგმავდა სკოლა ადიაგნოსტიკური წერების

განხორციელებას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ გარკვეული საჭიროებების გათვალისწინებისა და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა საგანსა და კლასში იგეგმებოდა აღნიშნული აქტივობის განხორციელება. დირექტორის განცხადებით სკოლის მოსწავლეები და მშობლები მოცემულ საკითხზე წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, საგნობრივ ექსპერტებს მიმართა კითხვით, იყო თუ არა სკოლის მიერ წარმოდეგნილ კურიკულუმებში სიღნაღის ისტორიულ და კულტურულ ნაწილზეყურადღება გამახვილებული. უცხოური ენების საგნოვრივმა ექსპერტმა, თეა მამულიამ, აღნიშნა, რომ უცხოური ენების კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, აღნიშნულ საკითხზე აქცენტები კეთდებოდა. მისივე განცხადებით, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა სხვადასხვა დავალებისა და პრეზენტაციის ფარგლებში ემუშავათ სიღნაღის კულტურულ- ისტორიულ საკითხზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ ოღლიშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ხშირად ხორციელდებოდა პროექტები გასვლითი ღონისძიებების სახით. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა აღნიშნულგარემოებას. სწორედ ამ კუთხით მოცემული დროისთვის მიმდინარეობდა პროექტი სახელწოდებით „შევისწავლოთ, გავაცოცხლოთ და გავაციფრულოთ ჩვენი ქალაქის ისტორია“.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 12
წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას (ს/კ: 240412380) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ასევე, სკოლის ვებ- გვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების დოკუმენტი.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განმარტა, რომ იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვაში, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ.
მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 01 და 02 ნოემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, დიღმის მასივის V კვარტალში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1050 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1050 მოსწავლისთვის.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ხათუნა ლოდიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა გეგმავდა რემედიაციის პროგრამის განხორციელებას. საგნობრივი კათედრები დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე, გამოკვეთდნენ მოსწავლეთა, როგორც არსებულ/წინარე ცოდნას დიფერენცირებული სწავლების პრინციპების საგაკვეთილო პროცესში დაცვისთვის, ასევე შეარჩევდნენ მოსწავლეებს რემედიაციის პროგრამაში ჩასართავად. შედეგების გათვალისწინებით, საგნობრივი კათედრები შექმნიდნენ მასწავლებელთა მცირერიცხოვან ჯგუფებს რემედიატორი მასწავლებლის ხელმძღვანელობით, შეადგენდნენ სამოქმედო გეგმასა და პროგრამას, რომლის მიხედვითაც, სკოლა განახორციელებდა რემედიაციის პროგრამას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა განაცხადა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა, სადაც რიგი საკითხები ფორმულირებული იყო კითხვითი წინადადების სახით. საბჭოს ამავე წევრმა სკოლის წარმომადგენელსა და ექსპერტს სთხოვა მოცემული საკითხის დაზუსტება. ხათუნა ლოდიამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტი იყო სახელმძღვანელო, რომელიც შეცდომით გადმოიგზავნა პირველად დოკუმენტაციაში. მოგვიანებით, სკოლამ უზრუნველყო სწორი ვერსიის მოწოდება.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, წარმოედგინა მისი შეფასება, მათემატიკის კურიკულუმებთან დაკავშირებით. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირველადი დოკუმენტაცია არ მოიცავდა სრულყოფილ ინფორმაციას, თუმცა, ვიზიტის შემდეგ სკოლამ უზრუნველყო ცენტრის გავლით ექსპერტთა ჯგუფისთვის შესაბამისი კურიკულუმების გადაგზავნა კომპლექსური დავალებებითა და რესურსებით. აღნიშნული დაადასტურა საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა საბჭოსთვის წარმოედგინა მეტი დეტალი, თუ რა მექანიზმები ჰქონდა სკოლას და რა ღონისძიებებს ატარებდა იგი მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ნინო ასანიძემ, განაცხადა რომ დაწესებულება მოსწავლეთა მხარდაჭერას უზრუნველყოფდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთან ერთად, სკოლაში არსებობდა დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი და ფუნქციონირებდა თვითმართველობა. დირექტორის განცხადებით, სკოლაში არსებობდა, ასევე, პროგრამა ახალი მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, სხვა დამატებითი ინფორმაცია სკოლაში იყო საჯარო და მისი განხილვა/გავრცელება ხდებოდა დამრიგებლების მიერ, როგორც ონლაინ გამოკითხვების წარმოებისას, ასევე საკლასო კრების ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1050-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, მეორე სტანდარტის მონიტორინგის გარეშე, რადგან მათი შეხედულებით, დაწესებულება მეორე სტანდარტში, კონკრეტულად, კურიკულუმების მიმართულებით, საჭიროებდა განვითარებას.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლას (ს/კ: 202054089) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1050-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, დიღმის მასივი, კვარტალი V
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, დიღმის მასივი, კვარტალი V
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, დიღმის მასივი, კვარტალი V

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის წარმოდგენა; სკოლას ასევე უნდა უზრუნველეყო სკოლის ეზოს ღობის მთლიანობის აღდგენა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამწოვი კარადითა და მაგიდის მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით აღჭურვა; 3.5 კომპონენტთან მიმართებით კი სკოლას უნდა უზრუნველყო შენობაში ინკლუზიური გარემოს შექმნა, კერძოდ, პანდუსის მოწყობა და სართულებზე შშმ მოსწავლეებისთვის გადაადგილების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

8. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა.
ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა დმანისის მუნიციპალიტეტ, სოფელ ბოსლებში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 280 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმებოდა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის მიერ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, ვინაიდან სკოლას ამ ეტაპისთვის გარდა იმისა, რომ არ გააჩნდა ადამიანური რესურსი, ასევე არ ჰქონდა შესაბამისი არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არც შესაბამისი რაოდენობის ინვენტარი, კერძოდ, სკოლა ფლობდა 75 მერხს და სკამს. ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლას ავტორიზაციის მინიჭებოდა 75 მოსწავლეზე, რასაც გასაუბრებისას დაეთანხმა სკოლაც.
თამარ ხეჩიკაშვილის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ,

პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს - შეფასებული იყო „ნაწილობრივ შესაბამისად“, რადგან 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
თამარ ხეჩიკაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტის თქმით, დაწესებულების შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და ადაპტირებული, ასევე ჰყავდა ახლად არჩეული დირექტორი. სკოლას არ ჰყავდა ხელოვნების მასწავლებელი და არ ტარდებოდა ხელოვნების გაკვეთილები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა სახის პროექტს, მათ შორის, „გავუფრთხილდეთ გარემოს“ , „დედამიწის დღე“. მან განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო მსგავსი პროექტების განხორციელება მოსწავლეებისა და თემის ცნობიერების გაზრდისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ, სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა, როგორი გამოხმაურება ჰქონდა პროექტებს საზოგადოებაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, გეგი აბრამიშვილმა, განაცხადა რომ პროექტის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული პერიმეტრის დასუფთავება. აღნიშნულ ფაქტს საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. მისი თქმით, მოსწავლეებს შეუერთდნენ სოფლის მცხოვრებნიც. სკოლის დირექტორმა ასევე დამატებით აღნიშნა რომ დაწესებულებას შეთანხმებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მოპოვებული შენობა -ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ასევე, გამოსწორებული იყო კატალოგი, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ვერსია.
საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა რომ ვინაიდან სკოლის მიმართ გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები და/ ან რეკომენდაციები ყველა სტანდარტთან მიმართებით, სკოლას მოუწევდა აქტიური მუშაობა მათი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 75-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლას (ს/კ: 228927481) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 75-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოსლები

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მესამე და მეოთხე სტანდარტები.

9. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ

დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტ სოფელ დიდგორში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმებოდა სკოლის მიერ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, ვინაიდან სასწავლო პროცესის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ 27 მოსწავლისათვის. (სკოლა ფლობდა ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებულ 20 მერხს და 7 არასტანდარტულ მერხს.)
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დ აღნიშნა, რომ ექსპერტებს რჩევა გაცემული ჰქონდათ წიგნადი ფონდის შევსებასთან დაკავშირებით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რატომ იყო აღნიშნული საკითხი პრობლემატური. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, კარლო სუბელიანმა, განაცხადა, რომ ისინი ორი თვის განმავლობაში, სარგებლობდნენ ახლად რეაბილიტირებული შენობით, მანამდე კი სასწავლო პროცესს ახორციელებდნენ კერძო სახლში ორ ცვლაში, სადაც ფიზიკურად არ არსებობდა ბიბლიოთეკა. სკოლა ამ ეტაპზე აპირებდა მუშაობის დაწყებას და აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 27-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდგორის საჯარო სკოლას (ს/კ: 230867103) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 27-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N				

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდგორი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდგორი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდგორი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი

საბჭომ 1.2 3.1, 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, 1.2 კომპონენტთან მიმართებით ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი რესურსების კომპონენტში ნაცვლად „არსებული რესურსების“ მითითებისა დაეკონკრეტებინა, რომელი ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსების უზრუნველყოფით იყო შესაძლებელი აქტივობების შესრულება. 3.1 კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულებას უნდა უზრუნველყო დასაქმებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების მოპოვება, მასწავლებელთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისას შემადგენლობის განსაზღვრის დროს 174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ კომისიის შექმნის წესის გათვალისწინება. 3.4 კომპონენტთან მიმართებით სკოლას უნდა უზრუნველეყო სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე, შედგენილი მიწერილობით განსაზღვრული სავალდებულო ღონისძიებები და შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება. ასევე, გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას უზრუნველეყო უსაფრთხოების დამატებითი კამერების მონტაჟი შენობის შიდა და გარე პერიმეტრის სრული ვიდეომეთვალყურეობისათვის. რაც შეეხებოდა 3.6 კომპონენტს სკოლას უნდა უზრუნველეყო ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა ვებ - გვერდზე.

10. სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ, სოფელ ზოტში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ლია ჯალაღონიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი, შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. მესამე სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“, რადგან კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაში იყო მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ვინაიდან კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო „მეტწილ შესაბამისად“. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს,“ თუმცა კომპონენტი 4.2 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ლია ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივ“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავდა პროფესიული ინტერესების ფორმირებაზე სხვადასხვა არაფორმალური სასწავლო აქტივობით. სკოლა გეგმავდა და ახორციელებდა ვიზიტებს, ასევე, მასპინძლობდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ექსპერტის თქმით,

დაწესებულებამ განახორციელა პროექტი, სახელწოდებით - „ჯუნიორ ეჩივმენთი“, რომელიც ფოკუსირებული იყო მოზარდთა პროფესიულ ორიენტაციასა და მათი , სამეწარმეო კომპეტენციის განვითარებაზე და ის დაუკავშირა თემის მწვავე პრობლემას (დასაქმება, უმუშევრობა). შედეგად, რამდენიმე უფროსკლასელ მოსწავლეს დაუფინანსდა ინდსაწარმო (ინკუბატორი, სალონი, მეცხოველეობა).
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სსსმ მოსწავლე. დასმული შეკითხვის საპასუხოდ ლია ჯალაღონიამ განაცხადა, რომ სკოლაში ირიცხებოდა ერთი სსსმ მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სთხოვა სკოლის დირექტორს საბჭოსთვის წარმოედგინა ინფორმაცია, თუ როგორ აპირებდა სკოლა ექსპერტების მიერ გაცემული რჩევებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინებას, ასევე, ხარვეზების გამოსწორებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ნანა ირემაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობდა აღნიშნული საკითხების გამოსწორებაზე, მათ შორის, დაწესებულებამ, მოიპოვა ოფიციალური თანხმობა მიეღო ექთანი და აპირებდა შესაბამისი ვაკანსიის გამოცხადებას. მისი თქმით, ბიბლიოთეკაში დამონტაჟდა გასაშლელი პანდუსი. სკოლა, ასევე, მუშაობდა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე და სხვა ხარვეზებზე, რომლებიც დაფიქსირებული იყო დასკვნაში
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007369) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი

საბჭომ 1.2, 3.4, 3.5, 3.6 და 4.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, 1.2 კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულებას უნდა დაემტკიცებინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ასევე, 3.4 კომპონენტთან მიმართებით წარმოედგინა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს მიერ შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. 3.5 კომპონენტთან დაკავშირებით სკოლას უნდა უზრუნველეყო რესურს-ოთახის მოწყობა და ბიბლიოთეკასთან პანდუსის განთავსება. 3.6 კომპონენტთან მიმართებით სკოლას უნდა ჩაეტარებინა სკოლის ვებ-გვერდის შესაქმნელი ღონისძიებების (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა.) 4.2 კომპონენტთან დაკავშირებით კი სკოლას უნდა უზრუნველეყო სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის კომპონენტების შემუშავება (მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა, ისგ ჯგუფის შექმნა, ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 21:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა